**დანართი №3**
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2022 წლის 25 იანვრის N08 ბრძანებით

**მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსი**

**საპროექტო წინადადება**

**ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ**

| | |
|---|---|
| პროექტის სახელწოდება (ქართულად) | **„პოლიტიკის მეცნიერებათა დარგობრივი ნავიგატორი“** |
| პროექტის ხანგრძლივობა (თვეების რაოდენობა) | 12 - თვე |

შენიშვნა: საპროექტო წინადადების რეკომენდებული საერთო მოცულობა - 10 გვერდი

**პროექტის რეზიუმე**
**(სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200 სიტყვა)**

**„პოლიტიკის მეცნიერებათა დარგობრივი ნავიგატორი“** წარმოდგენს ამ სფეროში მოღვაწე სპეციალისტების პროფესიულ პორტალს.

ეს არის ვირტუალური ტიპის კოოპერაცია, რომელიც აძლევს საშუალებას სხვადასხვა ასაკის, გამოცდილების, სამეცნიერო ხარისხის, მსოფლმხედველობის და ღირებულებების პოლიტიკის კვლევების სფეროში მოქმედი სპეციალისტების თანამშრომლობას. მეტად მნიშვნელოვანია, რომ პროექტში ღებულობენ მონაწილეობას უცხოეთში მოღვაწე ქართველი სპეციალისტები.

ელექტრონული პლატფორმა მოგვცემს საშუალებას, გაუწიოთ პოპულარიზაცია მათ ნაშრომებს როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ.

პორტალი წარმოადგენს სამეცნიერო კომუნიკაციის ინოვაციურ ელექტრონულ შესაძლებლობას.

მკითხველებმა და მაყურებლებმა შეიძლება იხილონ შემდეგი ტიპის ტექსტური და ვიდეო-ინფორმაციები:

1. პოლიტიკის მეცნიერებებათა დოქტორები და დოქტორანტები
2. დარგობრივი ორგანიზაციები და საბჭოები
3. სამეცნიერო ჟურნალები და გამომცემლობები
4. სტატიები და მონოგრაფიები
5. სამეცნიერო ლიტერატურა
6. კონფერენციები და სიმპოზიუმები
7. კვლევითი პროექტები
8. საგრანტო პროგრამები
9. საგანმანათლებლო პროგრამები
10. ინფორმაცია მეცნიერების წარმატებების შესახებ
11. მეცნიერთა მოსაზრებები აქტუალურ პრობლემებზე

## 1. პროექტის შინაარსობრივი ნაწილი

(პროექტის თემის/საკითხის მოკლე მიმოხილვა; იდეის აქტუალობა, შემოთავაზებული პროექტის ინოვაციურობა, კონკურსის მიზანთან შესაბამისობა, პროექტის მიზნები და ამოცანები; აღწერეთ: პროექტში დაგეგმილი ამოცანების გადასაჭრელად საჭირო მეთოდები და საშუალებები/გზები)

**პროექტის მოკლე მიმოხილვა:**

1. **იდეის აქტუალობა**

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური მეცნიერებები საქართველოში მე-XIX საუკუნიდან აქტიურად ვითარდებოდა და დღესაც არსებობს ამ დარგის ბევრი სპეციალისტი, მათი შესაძლებელობების შესახებ საზოგადოებამ ბევრი რამ არ იცის. არაა საკმარისად განვითარებული მათი კომუნიკაციები სახელმწიფო და ბიზნეს სექტორიებთან. ბევრი სპეციალისტი ვერ ახერხებს საკუთარი შრომების პოპულარიზაციას.

გამომდინარე აქედან იკარგება საინტერესო ნაშრომები და მათში წარმოდგენილი იდეები კარგავენ დროთა განმავლობაში თავის მნიშვნელობას. სამწუხაროდ საერთაშორისო არენაზეც არა საკმარისადაა წარმოდგენილი მათი ნაშრომები და ისინი იშვიათად ღებულობენ მონაწილეობას საერთაშორისო დარგობრივ და ინტერდისციპლინურ კვლევებში. დღემდე არ არსებობს ერთიანი საინფორმაციო პლატფორმა, რომელზეც ისინი წარმოადგენდნენ თავის შემოქმედებას, და საქართველოს პოლიტიკური მეცნიერების დარგს.

სამწუხაროდ, ახალგაზრდა თაობამ ცოტა რამ იცის იმ უნიკალური ქართველი მეცნიერების შესახებ, რომლებუც არიან ევროპაში და ყოფილ საბჭოთა კავშირში XX-ე საუკუნის პოლიტიკური მეცნიერებების შემქმნელების ავანგარდში - მიხეილ მუსხელიშვილი, ჯერმენ გვიშიანი, ივერი ფრანგიშვილი, ვიქტორ ჩხიკვაძე და სხვები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ ქართული პოლიტიკური ისტორიის და აზროვნების სფეროში მოღვაწე მეცნიერებს. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკის მეცნიერების ჩამოყალიბება საქართველოში და იწყო XIX-

ე საუკუნეში, მის საფუძველს წარმოადგენენ უძველესი ხელნაწერები, რომლების ასახავენ საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოვლენებს.

პოლიტიკური მეცნიერების, ტექნოლოგიების და ინოვაციების თაობაზე არსებულ ცოდნაზე დამოკიდებულია ეროვნული უშიშროება და თავდაცვა. განსაკუთრებით ეს შეეხება საინფორმაციო-ფსიქოოგიური აგრესიისგან დაცვის მექანიზმების შექმნას და ასევე არსებული კონფლიქტების და კრიზისების მართვას. იმაზე თუ რამდენადაა პოლიტიკურად განათლებული ერი, დამოკიდებულია მისი პოლიტიკური კულტურა და პოზიციონირება ცივილიზირებულ ერთა ოჯახში.

2. **შემოთავაზებული პროექტის ინოვაციურობა**

- ნავიგატორი წარმოადგენს პოლიტიკური მეცნიერების თვითორგანიზების, თვითმართვის და განვითარების უნიკალურ შესაძლებლობას.
- ასეთი ტიპის საინფორმაციო პორტალი საქართველოში არ არსებობს.
- ნავიგატორის შექმნა წარმოადგენს პოლიტიკის მეცნიერებების სისტემის კოგნიციური მართვის მაგალითს.
- პოლიტიკის მეცნიერებების განვითარების და პოპულარიზაციის მიზნით, არის გამოყენებული სამეცნიერო კომუნიკაციები, როგორც მეცნიერების მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმი.
- პოლიტიკის მეცნიერბათა ელექტრონული მუზეუმი
- პოლიტიკის სპეცილისტების პროფესიული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობა

3. **კონკურსის მიზანთან შესაბამისობა,**

საპროექტო წინადადება შეესაბამება პოლიტიკის მეცნიერებების პოპულარიზაციას და კონკურსის პირობებში აღნიშნულ შემდეგ პუნქტებს:

ზ) მეცნიერების პოპულარიზაციისათვის ონლაინ ინსტრუმენტის შექმნას (ინტერაქტიული, შემეცნებითი პორტალი და სხვ.)

ბ) სამეცნიერო/შემეცნებითი სატელევიზიო და რადიო გადაცემების მომზადებას, ან არსებულ სატელევიზიო და რადიო პროგრამებში მეცნიერების პოპულარიზაციისათვის გამიზნული სიუჟეტების სერიის ჩართვას

4. **პროექტის მიზნები და ამოცანები;**

**მიზანი:**

საქართველოში და მის გარეთ პოლიტიკის მეცნიერების ქართული სკოლის პოპულარიზაცია. მისი ციფრული თვითორგანიზება-თვითმართვის კულტურის განვითარების ხელშეწყობა.

**ამოცანები:**

- პოლიტიკის მეცნიერების და განათლების სფეროში მოღვაწე სპეცილაისტების, სტუდენტების და ადმინისტრაციის ურთიერთკავშირების გაძლიერება (შიდა კომუნიკაციები).

- დარგის გარე სამყაროსთან კომუნიკაციების განვითარების ხელშეწყობა

ასევე:

- პოლიტიკის მეცნიერებებში სპეციალისტთა პროფესიულ განვითარების და დასაქმების ხელშეწყობა.
- ქართველი გამოჩენილი პოლიტიკის მეცნიერების მიღწევების პოპულარიზაცია. პორტალზე განთავსდება ამ დარგში პირველი „ელექტრონული მუზეუმი“.
- აბიტურიენტების ინფორმირება პოლიტიკის მეცნიერებებში არსებულ სპეციალობებზე და სპეციალიზაციებზე, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე.
- საქართველოს პოლიტიკის მეცნიერებების, ტექნოლოგიების და ინოვაციების სფეროში მიმდინარე რეფორმების და ტრანსფორმაციების თაობაზე ინფორმაციის გავრცელება ამ დარგის პროფესიონალთა საზოგადოებაში.

5. **აღწერეთ: პროექტში დაგეგმილი ამოცანების გადასაჭრელად საჭირო მეთოდები და საშუალებები/გზები)**

პროექტში დაგეგმილი ამოცანების გადასაჭრელად ვიყენებთ შემდეგ მეთოდებს:

- ისტორიული კვლევების მეთოდს;
- მოდელირების მეთოდს - სოციალური სისტემის მოდელირება ინტერნეტ სიცრცეში;
- კომუნიკაციის მეთოდები - კომუნიკაცია ადაპტირებული განსხვავებულ მიზნობრივ ჯგუფებზე

## 2. პროექტის განმახორციელებელი გუნდის კომპეტენცია

აღწერეთ და დაასაბუთეთ პროექტის ხელმძღვანელისა და ძირითადი პერსონალის კომპეტენცია და შესაბამისობა პროექტის ამოცანებთან:

| | | |
|---|---|---|
| 1 | ქეთევან მუმლაძე - პროფესიონალი ჟურანლისტი, სოციალური მეცნიერებათა დოქტორი კომუნიკატივისტიკის სპეციალისტი, მედიის ანალიტიკოსი, საჯარო პოლიტიკის მაგისტრი. | • პროექტის ხელმძრვანელი<br>• პროექტის ზაგადი მართვა, საიტის რედაქტორობა, ინფორმაციის შეგრობება, დამუშავება და განთავსებისთვის მომზადება.<br>• პორტალის რედაქტორი<br>• პარტნიორ ორგანიზაციებთან მიმოწერა და მოლაპარაკებების წარმოება<br>საქართველოს პოლიტიკის მეცნიერებების, ტექნოლოგიების |

| | | |
|---|---|---|
| | | და ინოვაციების სფეროში მიმდინარე რეფორმების და ტრანსფორმაციების თაობაზე ინფორმაციის გავრცელება ამ დარგის პროფესიონალთა საზოგადოებაში. |
| 2 | ალექსანდრე რუსეცკი - ფსიქოლოგიის დოქტორი (2019); პოლიტიკური მეცნიერებების დოქტორანტი; ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; საქართველოს პოლიტიკის მეცნიერებათა და მორალის აკადემიის თანადამფუძნებელი; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორიის ხელმძღვანელი; წმინდა მეფე თაოარის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი; გადაცემა „მეცნიერება და ინოვაციების“ წამყვანი (2019-2022). პროექტში - **მოხალისე** | • პროექტის ინიციატორი<br>• 12 (ერთსაათიანი) სატელევიზიო გადაცემის მომზადება<br>• დარგობრივ ჯგუფებთან კომუნიკაცია |
| 3 | ვაჟა შუბითიძე - ისტორიის დოქტორი (1987 წ.), პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი (2004 წ.); 2006 წლიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის და საერთაშორისო ურთიერთობათა მიმართულების სრული პროფესორი.[1] ლექციებს კითხულობს ასევე თბილისის ღია და სასწავლო უნივერსიტეტებში. 2022 წლიდან პოლიტიკის მეცნიერებათა და მორალის აკადემიის პრეზიდენტი | • პროექტის მთავარი სამეცნიერო კონსულტანტი<br>• ‘ელექტრონული მუზეუმი“- პროექტის ხელმძრვანელი - ამ დარგის ცნობილ მეცნერებზე ინფორმაციის შეგროვება |
| 4 | ოლღა დოროხინა - საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გეოპლოიტიკური მოდელირების პროგრამების ხელმძრვანელი; წმინდა მეფე თაოარის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი; პროექტში მოხალისე | • პროექტის კოორდინატორი<br>• პროექტის ინტერნაციონალიზაცია<br>• ფანდრაიზინგი<br>• მდგრადობა-განვითარება |

## 3. პროექტის მოსალოდნელი შედეგი

აღწერეთ პროექტის მოსალოდნელი შედეგები, მდგრადობა, ხელმისაწვდომობა და გავრცელების მექანიზმები

**შედეგები:**

- პროექტის განხორციელების შედეგად შეიქმნება პოლიტიკის მეცნირებათა დარგობრივი პორტალი-ნავიგატორი:
    - ნავიგატორი ხელს შეუწყობს ამ სფეროში დარგობრივი ჯგუფების შექმნას და შექმნილი ჯგუფების ეფექტიანობის ზრდას;
    - პოლიტიკის მეცნიერების სფეროში მოღვაწე ადამიანებისთვის შეიქმნება პროფესიული კომუნიკაციების ახალი სივრცე;
    - სამივე საფეხურის აბიტურიენტებისთვის შეიქნება შესაძლებლობა ნახონ კონცენტრირებული ინფორმაცია რაც შეუწყობს ხელს ოოპტიმალური გადაწყვეტილე ბნბის მიღებაში.

**მდგრადობა:**

- პროექტი ხორციელდება **კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის** ბაზაზე, კავკასიის გეოპოლიტიკური ლაბორატორიის სივრცეში. უნივერსიტეტი სტაბილურად განვითარებადი ორგანიზაციაა და ხელს შეუწყობს ელექტრონული რესურსის განვითარებას, გამოყენებული იქნება ლაბორატორიის სივრცე. პროექტის ორი მოხალისე ამ ლაბოარატორიის ხელმძვანელები არიან, და ღებულობენ ხელფასს.
- კსუ-ს და სხვა უნივერსიტეტების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტები შეძლებენ **ოფოციალური პრაქტიკის გავლას** პორტალის შექმნის და განახლების პროცესში.
- **კრაუდსორსინგი და ვირტუალური მოხალისეობა** - ეს ეკონომიკური ურთიერთობის კულტურა დევს პროექტის საფუძველში. პროექტის იდეის გარშემო ერთიანდებიან კრეატიული თანამოაზრეები. ისინი მზად არიან მოხალისეობრივ საწყოსებზე და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, გამოიყენონ თავისი ცოდნა, უნარები და გამოცდილება პროექტის იდეის რეალიზაციისათვის და განვითარებისათვის.
- პროექტის მდგრადობისათვის იქნება გამოყენებული **სოციალური რეკლამა.** ეს არის უნიკლაური შესაძლებლობა ამ ტიპის რეკლამის გამოყენების მეცნიერების პოპულარიზაციისათვის.
- საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა - საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრაცია, პარალელური ფანდრაიზინგი და საქველმოქმედო შესაწირი ხელს შეუწყობენ პროექტის განვითრებას. პროექტს ექნება თავისი ანგარიში TBC ბანკში.
- პროექტის სიმდგრადის მთავარი მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ იგი წარმოადგენს 2018-2021 წლებში შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის დოქოტორანტთა მხარდამჭერი პროგრამის ჩარჩოში დაფინასებული პროექტის შედეგად გამოცემული მონაგრაფიის და ზოგადად დისიმინაციური გეგმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს. მონოგრაფიაში :მეტაპოლიტიკის არსენალი მშვიდობისათვის“ არის შესწავლილი პოლიტიკის მეცნიერებებში არსებული

ვითარება და მისი განვითარების პერსპექტივები. კვლევა გამოქვეყნებულია ამ პროექტის ჩარჩოში შექმნილ მეცნიერის პერსონალურ საიტზე (www.rav2021.com).

**ხელმისაწვდომობა:**

- პორტალი მარტივადაა ხელმისაწვდომი - პორტალის სავარაუდო სახელწოდება - PS.GE (ან PESTI.ge) - საქართველოს პოლიტიკური განათლების, მეცნიერების, ტექნოლოგიების და ინოვაციების პორტალი

**გავრცელების მექანიზმები:**

- პროექტის ჩარჩო გულისხმობს პროფესიონალთა მონაცემთა ბაზის შექმნას და ერთიანი დაგზავნის ფურცლის შექმნას.
- პროექტში გათვალისწინებულია რეკლამის თანხები.
- პროექტში იქნება ჩართული ყველა ის უნივერსიტეტი, აკადემია, ინსტიტუტი, ბიბლიოთეკა თუ ცენტრი სადაც მიმდინარეობს პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით განათლების და/ან კვლევითი პროცესები.

## 4. პროექტის მართვა და განხორციელება

პროექტის განხორციელების გზების, გეგმა გრაფიკის, ბიუჯეტისა და ბიუჯეტის დასაბუთების შესაბამისობა პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან

**შენიშვნა: გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ პროექტის გეგმა-გრაფიკი (დანართი 5) და ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება (დანართი 6/7) ივსება GMUS-ის შესაბამის ველებში და წარმოადგენს პროექტის მნიშვნელოვან ნაწილს.**

პროექტის განხორციელების გზები:

4.ა) **მოლაპარაკებები მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან** (პროგრამების მენეჯერები, დოქტორანტები, მეცნიერები, მოქმედი პოლიტიკოსები, სამთავრობო უწყებები) - პროექტის შესახებ მათი ინფორმირებისა და თანამშრომლობის მოწვევის მიზნით.

4.ბ) **ვებსაიტის/პორტალის შემუშავება IT სპეციალისტთან - სტრუქტურის მიხედვით.** (სტრუქტურა შეიძლება შეიცვალოს დაინტერესებულ მხარეებთან მოლაპარაკების საფუძველზე). **ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება - შაბლონები** სხვადასხვა კატეგორიისთვის (პროგრამები, ჟურნალები, დოქტორები, დოქტორანტები, მაგისტრანტები, ბიბლიოთეკები, გამომცემლობები და ა.) პოტენციური მომხმარებლების მოსაზრებები, რისი ნახვაც მათ სურთ საიტზე

Web- პორტალის სტრუქტურა

**ჩვენს შესახებ**

**ვინ არის ვინ**

- დოქტორები
- დოქტორანტები
- ორგანიზაციები - GEO
- საერთაშორისო ორგანიზაციები - IO

- მემორიალი - ვირტუალური მუზეუმი

**განათლება**

- საბაკალავრო
- პოსტ-საბაკალავრო
- სამაგისტრო
- პოსტ-სამაგისტრო
- სადოქტორო
- პოსტსადოქტორო

**პუბლიკაციები**

- სტატიები
- მონოგრაფიები
- წიგნები

**განვითარება**

- კონკურსები
- ვაკანსიები
- კარიერა

**ღონისძიებები**

- კონფერენციები
- მრგვალი მაგიდები
- საჯარო ლექციები
- არქივი

4.**გ) კონტენტის შექმნა**

- გამოკითხვების მეშვეობით მიღებული ინფორმაციის დამუშავება, პროფილების შექმნა
- კონტენტის შექმნა აბიტურიენტებისთვის – რა არის პოლიტიკა? რა პროფესიებია პოლიტიკაში - ვიდეო ინტერვიუს ტექსტები. მოთხოვნა გაეგზავნება უნივერსიტეტის პარტნიორ სკოლებს, რათა სტუდენტებმა თავიანთი შეკითხვა პოლიტოლოგს გაუგზავნონ.
- მემორიალური ნაწილი - ვირტუალური მუზეუმი - საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგში გამოჩენილი მეცნიერების შესახებ
- ინოვაციური განვითარება პოლიტიკაში - ვიდეო, ინტერვიუ, ტექსტები
- საერთაშორისო რესურსები პოლიტიკური მეცნიერებისთვის (კონფერენციები, კონკურსები, გრანტები, პუბლიკაციები
- ა.რუსეცკის პირად სტუდიაში მომზადდება 12 სპეციალური გადაცემის, რომელშიც მიიღებენ მონაწილეობას ამ დარგში მოღვაწე წარმატებული სპეციალისტები, რომლებიც ისაუბრებენ თავისი კარიერის განვითარებაზე. გადაცემა იქნება ორიენტირებული ახალგაზრდა თაობის დაინტერესებაზე.

4.**დ) რესურსის პრეზენტაცია.**

- კონფერენცია- პრეზენტაცია CIU-ში.
- პრეზენტაციები უნივერსიტეტებში და სკოლებში (10 ღონისძიება)
- პლატფორმის პოპულარიზაცია სოციალურ ქსელებში